

შპს „მზიური“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სექტემბერი 2022
თბილისი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
1. შესავალი	8
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	15
4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები	19
5. ფული და ფულის ექვივალენტები	20
6. მოკლევადიანი მოთხოვნები	20
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	20
8. ძირითადი საშუალებები	21
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
10. საპროცენტო ვალდებულებები	22
11. სესხები	22
12. კაპიტალი	22
13. შემოსავალი	22
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	23
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
16. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	24
17. არასაოპერაციო ხარჯები	24
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
19. რისკის მართვა	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მზიურის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მზიურის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა მოდიფიცირებული მოსაზრების აბზაცში მოყვანილი გარემოებებისა, სამართლიანად ასახავს შპს „მზიურის“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

შპს „მზიურს“ არ ჩაუტარებია მისი კუთვნილი ფიქსირებული აქტივების შეფასება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და უტყუარი აუდიტორული მტკიცებულება, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოყვანილი 10,725,105 ლარის ღირებულების ფიქსირებული აქტივების სამართლიან ღირებულებაზე. ვინაიდან აქტივის ღირებულება არ გადაფასებულია, პერიოდის ცვეთის სისწორეზე ვერ მოხერხდა რწმუნებულობის მოპოვება.

კომპანიას გამოიჩნდა აქვს საერთო ადმინისტრაციული და მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები. ორივე კატეგორია მოიცავს ცვეთის ხარჯს, თუმცა აღნიშნული ხარჯის გარდა ამ კატეგორიებში წარმოდგენილი ყველა საოპერაციო ხარჯი არის სწორი.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენი ვალდებულებაა, გავცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე.

ჩვენი ვალდებულებაა არსებითი უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ამასთან, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობის ანგარიშის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშის გაცნობის შემდეგ და შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ასე მოქცევის გარდა სხვა რეალური არჩევანი.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAS-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

მპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 სექტემბერი 2022 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მზიურის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მზიურის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა მოდიფიცირებული მოსაზრების აბზაცში მოყვანილი გარემოებებისა, სამართლიანად ასახავს შპს „მზიურის“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

შპს „მზიურს“ არ ჩაუტარებია მისი კუთვნილი ფიქსირებული აქტივების შეფასება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და უტყუარი აუდიტორული მტკიცებულება, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოყვანილი 10,725,105 ლარის ღირებულების ფიქსირებული აქტივების სამართლიან ღირებულებაზე. ვინაიდან აქტივის ღირებულება არ გადაფასებულია, პერიოდის ცვეთის სისწორეზე ვერ მოხერხდა რწმუნებულობის მოპოვება.

კომპანიას გამიჯნული აქვს საერთო ადმინისტრაციული და მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები. ორივე კატეგორია მოიცავს ცვეთის ხარჯს, თუმცა აღნიშნული ხარჯის გარდა ამ კატეგორიებში წარმოდგენილი ყველა საოპერაციო ხარჯი არის სწორი.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტებული საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენი ვალდებულებაა, გავცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე.

ჩვენი ვალდებულებაა არსებითი უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ამასთან, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობის ანგარიშის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშის გაცნობის შემდეგ და შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ასე მოქცევის გარდა სხვა რეალური არჩევანი.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAS-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიშუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით
თბილისი, საქართველო

22 სექტემბერი 2022 წ.



შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენ.	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	10 725 105	10 594 769
სულ გრძელვადიანი აქტივები		10 725 105	10 594 769
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	56 958	121 910
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	19 592 188	14 810 471
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	11 157 413	8 019 115
გადახდილი ავანსები		-	-
გაცემული სესხები		335 000	335 000
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	97 552
დარიცხული მოთხოვნები		-	144 884
სულ მიმდინარე აქტივები		31 141 559	23 528 932
სულ აქტივი		41 866 664	34 123 701
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	5 516 129	2 515 214
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 516 129	2 515 214
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	6 890 726	5 339 991
საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებები		202 392	-
საპროცენტო ვალდებულებები	10	2 196 140	1 717 166
მოკლევადიანი სესხები	11	3 500 000	1 412 401
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	11	18 871 226	20 774 268
სულ მიმდინარე ვალდებულებები		31 660 484	29 243 826
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	113 485	113 485
აკუმულირებული მოგება/ზარალი	12	2 251 176	1 819 115
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	12	2 325 390	432 061
სულ კაპიტალი		4 690 051	2 364 661
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		41 866 664	34 123 701

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

22 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „მზიური“


ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენ.	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	10 725 105	10 594 769
სულ გრძელვადიანი აქტივები		10 725 105	10 594 769
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	56 958	121 910
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	19 592 188	14 810 471
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	11 157 413	8 019 115
გადახდილი ავანსები		-	-
გაცემული სესხები		335 000	335 000
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	97 552
დარიცხული მოთხოვნები		-	144 884
სულ მიმდინარე აქტივები		31 141 559	23 528 932
სულ აქტივი		41 866 664	34 123 701
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	5 516 129	2 515 214
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 516 129	2 515 214
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	6 890 726	5 339 991
საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებები		202 392	-
საპროცენტო ვალდებულებები	10	2 196 140	1 717 166
მოკლევადიანი სესხები	11	3 500 000	1 412 401
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	11	18 871 226	20 774 268
სულ მიმდინარე ვალდებულებები		31 660 484	29 243 826
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	113 485	113 485
აკუმულირებული მოგება/ზარალი	12	2 251 176	1 819 115
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	12	2 325 390	432 061
სულ კაპიტალი		4 690 051	2 364 661
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		41 866 664	34 123 701

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:



22 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენ.	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	78 171 718	66 098 771
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(70 068 820)	(56 644 353)
საერთო მოგება		8 102 898	9 454 418
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2 711 514)	(2 503 230)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	16	(5 970 751)	(5 621 878)
საგადასახადო ხარჯები		(86 232)	(88 325)
სულ საოპერაციო მოგება		(665 599)	1 240 985
არასაოპერაციო შემოსავლები		6 706 362	5 597 210
სხვა განსაკუთრებული შემოსავლები/ხარჯები		(250 000)	(198 039)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		578 056	(185 535)
არასაოპერაციო ხარჯები	17	(1 363 036)	(4 057 917)
ფინანსური ხარჯები		(2 605 759)	(1 875 592)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		2 400 024	521 112
მოგების გადასახადი		(74 634)	(89 051)
წმინდა მოგება		2 325 390	432 061
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		2 325 390	432 061

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

22 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენ.	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	78 171 718	66 098 771
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(70 068 820)	(56 644 353)
საერთო მოგება		8 102 898	9 454 418
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2 711 514)	(2 503 230)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	16	(5 970 751)	(5 621 878)
საგადასახადო ხარჯები		(86 232)	(88 325)
სულ საოპერაციო მოგება		(665 599)	1 240 985
არასაოპერაციო შემოსავლები		6 706 362	5 597 210
სხვა განსაკუთრებული შემოსავლები/ხარჯები		(250 000)	(198 039)
საქურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		578 056	(185 535)
არასაოპერაციო ხარჯები	17	(1 363 036)	(4 057 917)
ფინანსური ხარჯები		(2 605 759)	(1 875 592)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		2 400 024	521 112
მოგების გადასახადი		(74 634)	(89 051)
წმინდა მოგება		2 325 390	432 061
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		2 325 390	432 061

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:




22 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

შენიშვნები გვერდებზე 9-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	113 485	1 819 115	-	1 932 600
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	432 061	-	432 061
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	113 485	2 251 176	-	2 364 661
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	2 325 390	-	2 325 390
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	113 485	4 576 566	-	4 690 051

შენიშვნები გვერდებზე 9-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021 წელი	2020 წელი
მოგება დაბეგვრამდე	2 325 390	432 061
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	683 378	508 562
მოგების გადასახადის ხარჯი	74 634	89 051
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(578 055)	185 535
საპროცენტო ხარჯი	489 358	431 493
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	-	-
	2 994 705	1 646 702
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(3 138 298)	(525 502)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(4 783 174)	(3 796 063)
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში	97 552	(2 324)
(ზრდა)/შემცირება მიღებულ ავანსებში	-	-
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(5 749 743)	(1 754 636)
ზრდა/(შემცირება) სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში	-	-
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	202 392	-
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	-	-
ცვლილება სხვა აქტივებში	144 884	(35 271)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(10 231 682)	(4 467 094)
გადახდილი პროცენტი	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(74 634)	(89 051)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(10 306 316)	(4 556 145)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 086 689)	(308 056)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	272 975	332 734
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(813 714)	24 678
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	3 408 011	1 802 569
სესხებზე გადახდილი ფული	-	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	3 408 011	1 802 569
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	7 647 067	2 545 992
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(64 952)	(182 906)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	121 910	304 816
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	56 958	121 910

შენიშვნები გვერდებზე 9-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება:	შპს მზიური
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205025079
რეგისტრაციის ნომერი, თარ:	5a/4-3970; 30/03/2004
მარეგისტრირებული ორგანო:	ვაკე-საბ. რ/ნის
სასამართლო	
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ა. წერეთლის გამზ., №113 დ

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
დირექტორი - 01024008294, შოთა ბასილაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე წილი 100%-იანი წილის მფლობელი 01024008652, აკაკი ახვლედიანი

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
USD/GEL	3.0976	3.2795
EUR/GEL	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდეგში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-4 შენიშვნაშია განხილული.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ,

მენეჯმენტი არ გამოიყენებს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ვ) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და ზ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

ბუღალტრული აღრიცხვა: როგორც, სინთეზური, ასევე ანალიზური ანგარიშგებისათვის გამოყენებულია პროგრამა 1ს. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირია მთავარი ბუღალტერი, ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს 16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;
 - ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
 - გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდგომი, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.
- თავდაპირველიაღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

გაუფასურება იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 16-ს.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

კომპანია პროდუქციას არ აწარმოებს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა და შესაბამისად, გასაყიდ საქონელს აღრიცხავს ბასს 2-ის მოთხოვნების შესაბამისად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს 2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გამომუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯებად აღიარება - როცა მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა უნდა აღიარდეს იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღიარდება ბასს 18 მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

პროცენტები, როიალტები და ღირებულებები აისახება ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში საწარმოში შემოვა ეკონომიკური სარგებელი;

ბ) შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება. ბასს 18

ა) პროცენტების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ფასს 9-ის სტანდარტებს.

ბ) როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსის მიხედვით;

გ) ღირებულებების აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა უფლება ღირებულებების მიღების შესახებ.

საკურსო სხვაობების აღიარება. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა. საქონლის გარკვეული ნაწილი მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის რ) პუნქტის საფუძველზე. ასეთია ჩვილ ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმი - ბავშვის საფენები. ძირითადი ნაწილის მიწოდება იბეგრება დღგ-თი.

მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ნაწილობრივ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო- საკასო აპარატებით.

სალაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება, სალაროს ოპერაციებს მოლარე ოპერატორები და მთავარი მოლარე ახორციელებენ. ისინი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით. ორდერებზე არ ხდება მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითება, ვინაიდან სალაროს ოპერაციების ბუღალტრულ ბაზაში ასახვას ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.

ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციების შინაარსების მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

მყიდველებთან და დამკვეთებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

ბასს-39 მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრება, არსებობს თუ არა მინიშნება დებიტორული დავალიანების, როგორც ფინანსური აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და განმარტებითი შენიშვნებში აისახება სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შინაარსი და მოცულობა (Loss allowance), რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოსალოდნელია, რომ მოახდენს მომავალ პერიოდებზე.

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსაღგენ ვალუტაში ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი N19:

„დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასდება სტანდარტის მე-11 პუნქტის მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი, ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში (მაგ. ბასს-2 – „მარაგები“, ან ბასს-16 – „ძირითადი საშუალებები“).

იჯარის აღრიცხვა

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

კომპანია, როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების

დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

დამატებული ღირებულების გადასახადი. საქონლის მიწოდების, ასევე მომსახურების ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით გარდა ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის (საფუნების) მიწოდებისა, რაც განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე.

კომპანიას უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი, დანაკლისები დაბეგრული აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით.

დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგრასთან დაკავშირებით.

- ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
- დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
- ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა. კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2019 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.

დაკავშირებული მხარეები არიან:

პარტნიორი: - მესაკუთრე 100%-იანი წილის მმართველი 01024008652, აკაკი ახვლედიანი

დირექტორი - 01024008294, შოთა ბასილაშვილი,

შპს „აგროჰაბი“, შპს „ჯი სი“ და შპს „ელიტინვესტი“

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავალი

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ- საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამისი აქტივის შეძენაზე, შექმნაზე ან აშენებაზე ვერ ხერხდება, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, გარიგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისათვის ლარში ღირებულებასა, დაკორექტირებულს ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი გადასახადებით, და უცხოურ ვალუტაში ღირებულებას შორის, რომელიც გადაყვანილია ლარში პერიოდის ბოლოს კურსით.

გადასახადები

მოგების გადასახადი ჩვეულებრივ შედგება მიმდინარე და გადავადებული ნაწილებისაგან. ის აღიარდება მოგება-ზარალში გარდა პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლებში შესული ნაწილისა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად, ვინაიდან კომპანიას არ გაუნაწილებია მოგება 2019 წლის განმავლობაში, ანგარიშგება არ მოიცავს მოგების გადასახადს გარდა შემთხვევებისა როდესაც კომპანია ახორციელებდა მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებს განსხვავებულს დივიდენდების განაწილებისაგან.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახავს დღგ-ის აქტივს, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტივს / წინასწარ გადახდილ ხარჯს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით. მარაგების საწყისი ღირებულება აღირიცხება „პირველად შემოსული პირველად გადის“ პრინციპით და მოიცავს მარაგების შეძენა-შექმნა-გადამუშავებასთან დაკავშირებულ და მათ არსებულ მდებარეობა-მდგომარეობაში მიყვანის ხარჯებს.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები. დამფუძნებლების მიერ შემოტანილი ძირითადი საშუალებები აღიარდება შეძენის ღირებულებით. 2019 წ. 01 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვრულ იქნა ამ თარიღისათვის მათი ისტორიული ღირებულებით („მიღებული ღირებულებით“).

შეძენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დამლა-წამოლების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შეძენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის ნარჩენ ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯი ემატება მის ნარჩენ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ ნაწილის გამოყენებით მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიას დარჩება და თუ მისი ხარჯი საიმედოდ გაზომვადია. შეცვლილი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მომსახურების ხარჯი მოგება-ზარალში ჩამოიწერება.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახედავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს სესხებს და მოთხოვნებს მათი წარმოქმნის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგან მისაღებ ფულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განაშთავით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფიქსირებული ან წინასწარგანსაზღვრული გადახდების მქონე ისეთი ფინანსური აქტივების კატეგორიაა, რომლებიც მოქმედ ბაზარზე არ გვხვდება, ან ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯარო. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს აქტივები შეფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით და მცირდება გაუფასურების ნებისმიერი ზარალით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს გაცემულ მოკლევადიან სესხებს, მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და ფულსა და მის ექვივალენტებს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება ნებისმიერ, ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეთანხმებულია დამფუძნებელთან და კლასიფიცირდება კაპიტალად. ის 113 485 ლარს შეადგენს და იცვლება პერიოდულად, საწყისი კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესაბამისად, როდესაც ასეთი მოხდება.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირება ან აქტივების არაფულადი განაწილება აღიარდება განაწილებული აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ იგი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგა ზარალის გამომწვევი შემთხვევა და მას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი გაკოტრება;
- კომპანიის მიერ მისაღები თანხის რესტრუქტურისა;
- მინიშნება, რომ მოვალე მალე გაკოტრდება;
- მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს ფინანსური აქტივების ჯგუფში

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ამოღებადი თანხა. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ამოღებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

აქტივის ან ნაღდი ფულის გენერირების წყაროს ამოღებადი თანხა უდიდესია მის არსებულ და რეალურ ღირებულებებს შორის, დაკლებული გაყიდვის ხარჯები. არსებული ღირებულება გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე

დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათ ინტერპრეტაცია

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც 2021 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა: მეორე ფაზა – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში. ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში;
- „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ – ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში.

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში:

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან);
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად (ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან);
- „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ - ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში (ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან);
- ძირითადი საშუალებები: „შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე“ - ცვლილებები ბასს 16-ში (ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან);
- ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს (ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან);
- ფასს-ის გაუმჯობესება - 2018-2020 წ.წ. ციკლი: ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 8-ში, ბასს (IAS) 1-ში და ბასს (IAS) 41-ში (ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან).

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.დეკ.21	31.დეკ.20
ეროვნული ვალუტა სალაროში	23 355	62 770
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14 665	58 756
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	18 938	384
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	56 958	121 910

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	31.დეკ.21	31.დეკ.20
მოთხოვნები მიწოდებიდან	20 747 059	15 806 416
გადახდილი ავანსები	137 418	195 043
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	60 363	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (ბონუსები)	-	50 948
	20 944 840	16 052 407
საექვო მოთხოვნები	(1 352 652)	(1 241 936)
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	19 592 188	14 810 471

მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების დიდი ნაწილი კომპანიას გაუჩნდა საბითუმო ვაჭრობიდან, მხოლოდ მის მცირე ნაწილს შეადგენს საცალო ვაჭრობიდან წარმოქმნილი მოთხოვნები.

კომპანია აქვს ასევე მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31.დეკ.21	31.დეკ.20
მარაგები	8 781 155	7 578 411
საქონელი	1 855 410	426 128
საწვავი	501 882	14 276
სამშენებლო მასალები	18 966	300
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	11 157 413	8 019 115

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, პრაქტიკულად არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>								
2019 წლის 31 დეკემბერი	2 785 160	7 489 252	1 197 264	1 036 711	1 151 051	32 777	67 577	13 759 792
შემოსვლა	-	45 258	2 852	11 907	248 039	-	-	308 056
გასვლა	-	-	-	(290)	(332 444)	-	-	(332 734)
2020 წლის 31 დეკემბერი	2 785 160	7 534 510	1 200 116	1 048 328	1 066 646	32 777	67 577	13 735 114
შემოსვლა	-	8 059	11 017	28 708	822 625	-	-	870 409
გასვლა	(20 500)	-	-	(290)	(29 154)	-	-	(49 944)
2021 წლის 31 დეკემბერი	2 764 660	7 542 569	1 211 133	1 076 746	1 860 117	32 777	67 577	14 555 579
<i>დაგროვილი ცვეთა</i>								
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(961 744)	(459 281)	(579 342)	(541 531)	(32 090)	(57 795)	(2 631 783)
წლის ცვეთა	-	(157 853)	(191 498)	(158 224)	(201 647)	(687)	(5 167)	(715 076)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	290	206 224	-	-	206 514
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(1 119 597)	(650 779)	(737 276)	(536 954)	(32 777)	(62 962)	(3 140 345)
წლის ცვეთა	-	(159 317)	(193 322)	(156 492)	(207 200)	-	(1 909)	(718 240)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	290	27 821	-	-	28 111
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(1 278 914)	(844 101)	(893 478)	(716 333)	(32 777)	(64 871)	(3 830 474)
<i>საბალანსო ღირებულება</i>								
2019 წლის 31 დეკემბერი	2 785 160	6 527 508	737 983	457 369	609 520	687	9 782	11 128 009
2020 წლის 31 დეკემბერი	2 785 160	6 414 913	549 337	311 052	529 692	-	4 615	10 594 769
2021 წლის 31 დეკემბერი	2 764 660	6 263 655	367 032	183 268	1 143 784	-	2 706	10 725 105

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის.

კომპანიის არამატერიალური აქტივია მისი საბუღალტრო პროგრამა 1C-ი.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.დეკ.21	31.დეკ.20
არარეზიდენტი მომწოდებლებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5 519 287	3 627 187
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	553 023	953 794
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	6 955	-
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	811 461	759 010
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6 890 726	5 339 991

კომპანიას გასაყიდად გამიზნული საქონლის დიდი ნაწილი შემოაქვს უცხოეთიდან აქედან გამომდინარე ფიქსირდება დიდი თანხის კრედიტორული დავალიანება.

10. საპროცენტო ვალდებულებები

საპროცენტო ვალდებულებები	31.დეკ.2021	31.დეკ.2020
გადასახდელი პროცენტები	2 196 140	1 717 166
სულ საპროცენტო ვალდებულებები	2 196 140	1 717 166

კომპანიის საპროცენტო ვალდებულებები შედგება ბანკებიდან მიღებული სესხებზე გადასახდელი პროცენტებისგან, დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე გადასახდელი პროცენტებისგან და სხვა კომპანიებისგან მიღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტებისგან.

11. სესხები

სესხები	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	31.დეკ.21	31.დეკ.20	31.დეკ.21	31.დეკ.20
ბანკიდან აღებული სესხები	18 871 226	20 774 268	4 068 759	1 850 025
სესხები დაკავშირებული მხარეებიდან	3 500 000	1 412 401	1 447 370	665 189
სულ სესხები	22 371 226	22 186 669	5 516 129	2 515 214

კომპანიას აქვს სესხები აღებული როგორც ბანკიდან, ასევე კომპანიასთან დაკავშირებული მხარეებიდან.

12. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 113,485 ლარს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში მისი ცვლილება არ მომხდარა.

2020 წელს დაკორექტირებულმა მოგებამ შეადგინა 432,061 ლარი, ხოლო 2021 წელს შეადგინა 2,325,390 ლარი. კომპანიას დივიდენდი არ გაუცია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2021 წლის 31 დეკემბერს 4,690,051 ლარი შეადგინა.

13. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან	31.დეკ.21	31.დეკ.20
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	78 171 718	66 098 771
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	78 171 718	66 098 771

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შედგება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისგან. კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს საქონლის რეალიზაცია წარმოადგენს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ოპერაციები.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(**ქართულ ლარში**)

არასაოპერაციო შემოსავლები	31.დეკ.21	31.დეკ.20
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	5 587 582	3 356 764
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	124 492	1 231 767
არასაოპერაციო შემოსავალი ბონუსებიდან	464 788	381 000
საშემოსავლო შეღავათი	100 268	134 429
საქონლის ჩამოფასება მომწოდებლის მიერ	57 469	109 773
არასაოპერაციო შემოსავალი (ინვენტარიზაცია ზედმეტობა)	12 139	76 327
არასაოპერაციო შემოსავალი (ხანდაზმული კრედიტორი)	2 467	58 923
არასაოპერაციო შემოსავალი სესხებიდან (%-ებიდან)	35 175	35 271
საქონელი საჩუქრად მომწოდებლისგან	143 515	17 203
მომწოდებლებთან კრედიტნოტა	-	16 894
ზარალის ანაზღაურება	5 759	14 564
არასაოპერაციო შემოსავალი სოფ. მეურნ. სამინისტროდან	135 429	164 295
ელ. ენერგიის შეღავათი	31 284	-
არასაოპერაციო შემოსავალი საჩუქარი	5 995	-
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	6 706 362	5 597 210

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31.დეკ.21	31.დეკ.20
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(67 053 258)	(54 364 684)
რეალიზაცია / სინჯი ლაბორატორიისათვის/ მყიდველთან საქონლის ჩამოფასება (ბონუსი)	(269)	(310)
	(3 015 293)	(2 279 359)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(70 068 820)	(56 644 353)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების უდიდეს ნაწილს შეადგენს შეძენილი საქონლის ღირებულება. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანია არ აღრიცხავს პერსონალის ხელფასს ცალკე ადმინისტრაციულ და ცალკე პირდაპირ ხელფასად. ამიტომ ზემოთ მოყვანილი თვითღირებულების ცხრილი არ მოიცავს პირდაპირ სახელფასო დანახარჯებს.

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31.დეკ.2021	31.დეკ.2020
ხელფასის ხარჯი	(1 213 613)	(943 961)
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურება	(110 716)	(613 861)
კომუნალური ხარჯები	(500 436)	(323 151)
ამორტიზაციის ხარჯი	(449 453)	(217 605)
დაცვის ხარჯი	(51 824)	(50 325)
სამეურნეო ხარჯები	(56 194)	(52 890)
ბანკის მომსახურება	(34 173)	(31 197)
საკანცელარიო ხარჯები	(29 355)	(26 149)
საკონსულტაციო ხარჯი	(13 058)	(13 283)
მივლინების ხარჯი	(15 915)	(7 583)
კომუნიკაციის ხარჯები	(23 416)	(21 550)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(25 467)	(1 800)
დაზღვევის ხარჯი	(800)	(770)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-	-
სხვა საერთო ხარჯი	(187 094)	(199 105)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 711 514)	(2 503 230)

16. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები

მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	31.დეკ.2021	31.დეკ.2020
ხელფასის ხარჯი	(3 997 714.00)	(3 570 178)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(121 093)	(112 880)
საწვავის ხარჯი	(744 394)	(598 341)
ამორტიზაციის ხარჯი	(268 788)	(497 471)
იჯარის ხარჯი	(337 912)	(309 849)
ავტო მანქანის ნაწილები და მომსახურება	(248 602)	(242 812)
მიწოდების ხარჯები	(165 384)	(216 989)
დაზღვევის ხარჯი	(64 370)	(55 018)
საკონსულტაციო ხარჯი	(5 000)	(3 602)
სამეურნეო ხარჯები	-	-
სხვა საერთო ხარჯი	(17 494)	(14 738)
სულ მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	(5 970 751)	(5 621 878)

17. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები	31.დეკ.2021	31.დეკ.2020
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(5 182)	(2 052 195)
საქონელი ვადაგასული (საგადასახადოს მიერ განადგურებული)	(544 826)	(746 473)
საპროცენტო ხარჯი	-	(673 721)
პროპორციული დღგ (ხარჯი)	(504 236)	(275 248)
საქონელი საჩუქრად სარეკლამოდ	(279 837)	(236 611)
სხვა ხარჯი (ხანდაზმული დებიტორი)	(8 884)	(59 632)
საქონელი დანაკლისი ინვენტარიზაციის შედეგად	(12 420)	(11 069)
აქცია (ჩამოწერა აქციისათვის)	(2 414)	(230)
დღგ საურავი	(2 798)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან ხარჯი	(2 439)	(2 738)
სულ არასაოპერაციო ხარჯები	(1 363 036)	(4 057 917)

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

(გ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	31.დეკ.21	31.დეკ.20
შპს აგროჰაბი	519 369	849 145
შპს ჯისი	335 000	335 000
შპს ელიტინვესტი	35 442	35 442
სულ მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	889 811	1 219 587
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	31.დეკ.21	31.დეკ.20
შპს აგროჰაბი	58 727	38 901
შპს ჯისი	150 308	379 614
შპს ელიტინვესტი	-	-
სულ ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	209 035	418 515
სასესხო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	31.დეკ.21	31.დეკ.20
კომპანიის დამფუძნებლები	1 447 370	2 077 590
შპს აგროჰაბი	3 500 000	455 493
სულ ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	4 947 370	2 533 083
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	31.დეკ.21	31.დეკ.20
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	229 594	142 225
სულ ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	229 594	142 225
შემოსავლები დაკავშირებული მხარეებიდან	31.დეკ.21	31.დეკ.20
შპს აგროჰაბი	3 013 283	3 354 124
შპს ჯისი	211 952	238 487
დამფუძნებლები	-	560
სულ მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	3 225 235	3 593 171

შემოსავლები მოიცავს როგორც რეალიზებულ პროდუქციას, ასევე შემოსავლებს იჯარიდან.

19. რისკის მართვა

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განაგრძონ ბიზნესი.

კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

რისკის მართვის პოლიტიკა

შპს „მზიური“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიაღება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვინებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.

რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადადაცილებას, კლიენტების რეიტინგს. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდაღებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია.

კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა

შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 22 სექტემბერს, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

Mziuri

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მზიური

მმართველობის ანგარიშგება

2021 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

ა) საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

საკვები პროდუქტების, ასევე ქალთა და ბავშვთა ჰიგიენის იმპორტი და დისტრიბუცია

კომპანია იჯარით აქვს გაცემული საოფისე და სასაწყობე ფართები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი
- საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
- საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- მზესიმუზირის ზეთი
- ფქვილი და ბურღულეული
- სამაცივრე პროდუქცია (კარაქი, სპრედი და მისთ.)
- ბავშვთა ჰიგიენა
- ქალთა ჰიგიენა

კომპანიას აქვს მძლავრი და რაც მთავარია დივერსიფიცირებული პორტფელი, რაც იძლევა საშუალებას იყოს მოქნილი, ადეკვატურად უპასუხოს ამ სეგმენტში ბაზარზე წარმოქმნილ მოთხოვნებს. განვითარებისთვის უახლოეს ორი წლის მანძილზე ორი ძირითადი მიზანია დასახული კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

1. ესაა სამაცივრე პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება, აქცენტით ნატურალური ცხოველური ცხიმების, ნაღების კარაქის ასორტიმენტზე.
2. ე. წ. „სააფთიაქო მიმართულების“ - განვითარება. პორტფელი, რასაც ამ სეგმენტში ფლობს კომპანია საჭიროებს ზრდას, ცნობადი ბრენდებით.
3. პორტფელის გაძლიერება პრემიუმ კლასის ევროპული წარმოების ასორტიმენტით

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კომპანიის შემოსავლები მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 20% -ით გაიზრდება.

ბ. 1 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

გ. 1 საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო სამი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	31/12/2020	31/12/2021	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	23,528,932	31,141,559	32%
გრძელვადიანი აქტივები	10,594,769	10,725,105	1%
სულ აქტივები	34,123,701	41,866,664	23%
მიმდინარე ვალდებულებები	29,243,826	31,660,484	8%
გრძელვადიანი ვალდებულებები	2,515,214	5,516,129	119%
მოგება/ ზარალი	432,061	2,325,390	438%
სულ კაპიტალი	2,364,661	4,690,051	98%
შემოსავალი რელიზაციიდან	66,098,771	78,171,718	18%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	56,644,353	70,068,820	24%

	2020	2021	% წინა წელთან შედარებით
Debt-to-Equity Ratio: Total Liabilities / Shareholders Equity.	13	8	-41%
Current Ratio: Current Assets / Current Liabilities.	0.80	0.98	22%
Quick Ratio: (Current Assets – Inventories)/ Current Liabilities.	0.53	0.63	19%

ბ) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

ხელმომწერი პირი:
დირექტორი



22 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო